

ჰუმანიტარული სამართალი. ვინ იცავს მშვიდობიან მოსახლეობას ომის დროს?

ნათია სიმონია

იტალიური სკოლა ცისკარი

1.გაკვეთილის სათაური - ჰუმანიტარული სამართალი. ვინ იცავს მშვიდობიან მოსახლეობას ომის დროს?

2.კლასი -IX

3.საგანი -სამოქალაქო განათლება

4.სასწავლო მიზნები - მოსწავლემ იმსჯელოს საერთაშორისო დოკუმენტებზე ხელმომწერი ქვეყნების პასუხისმგებლობაზე - ომის დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით (სამ.IX.6.).

მედიაწიგნიერების მიზნები - მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

5.ლექსიკონი:

ჰუმანიტარული სამართალი - კანონთა კრებული, რომელიც ძირითადად ჟენევის კონვენციებს ეფუძნება და იცავს გარკვეული კატეგორიის ადამიანებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ეხმარება დაზარალებულებს და ზღუდავს ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებს, რათა მინიმუმადე შეამციროს ნგრევა, ადამიანებისთვის სიცოცხლის წართმევა და ტანჯვა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია;

დევილი არის ადამიანი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო ქვეყნის ფარგლებში, ან წასულიყო საზღვარგარეთ, ვინაიდან საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას.

6.საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

ნარატივი - ჰუმანიტარული სამართალი; ჟენევის კონვენცია და ორი დამატებითი ოქმი

ფოტომასალა:

1. „1993 წლის 27 სექტემბერი–აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს აღების შემზარავი დეტალები“ (სურ. 1, expertclub.ge, სოხუმის დაცემის 18 წლისთავი, 27.09.2011)
2. „აგვისტოს ომის კადრები“ (სურათი 2, რუსეთ-საქართველოს ომი და ეროვნული მეხსიერების თავისებურება, ივერია, 05 დეკემბერი, შაბათი 2015, <http://iveria.biz/121-ruset-saqartvelos-omi-da-erovnuli-mexsierebis-tavisebureba.html>),

3. „2008 წლის აგვისტოს ომი - „ომი და მეხსიერება“ (სურათი 3, <http://iveria.biz/121-ruset-saqartvelos-omi-da-erovnuli-mexsierebis-tavisebureba.html>),
4. „2008 წლის 7 აგვისტო“ (სურათი 4, „2008 წლის 7 აგვისტო“ <http://teushateo.blogspot.com>);

7. გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა N1 (5 წთ) - მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვებით.

(მოსწავლეები გამოცდილებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე გასცემენ პასუხებს)

კითხვები	სავარაუდო პასუხები
<i>რა იწვევს ომს?</i>	ომს იწვევს ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის კონფლიქტური სიტუაციის გაღვივება.
<i>ვინ ზარალდება ომის დროს ყველაზე მეტად?</i>	ყველაზე მეტად ზარალდება შვიდობიანი მოსახლეობა.
<i>რაში გამოიხატება ეს „ზარალი“?</i>	მოსახლეობას უნადგურდება სახლ-კარი, ქონება, მოსავალი და ა.შ. ასევე იწვევს უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს. იძულებული ხდებიან, დატოვონ საცხოვრებელი გარემო.
<i>რა ინფორმაცია გაქვთ ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?</i>	ომის დროს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება.
<i>გსმენიათ თუ არა ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რაიმე საერთო წესის არსებობის შესახებ?</i>	ადამიანების უსაფრთხოებას იცავს საერთაშორისო ორგანიზაციები.

აქტივობა N2 (10 წთ) - მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ჰუმანიტარული სამართლის შესახებ და თანმიმდევრობით აცნობს მოსწავლეებს ორ მნიშვნელოვან სლაიდს - „ქენევის კონვენცია და ორი დამატებითი ოქმი“ და „ჰუმანიტარული სამართალი“ (სლაიდი 1,2):

ჰუმანიტარული სამართალი

ჰუმანიტარულ სამართალს საფუძვლად უდევს გარკვეული პრინციპები: ადამიანებმა, რომლებიც არ არიან ჩართულნი რაიმე საბრძოლო მოქმედებაში, უნდა მიიღონ ჰუმანური მოპყრობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე; ტყვედ ჩავარდნილი მებრძოლების მიმართ ქცევა უნდა იყოს ჰუმანური, დაუშვებელია მათი წამება ან ძალადობა მათ მიმართ; მათი საქმის სასამართლოში განხილვისას სასამართლომ ჩვეულებრივი საპროცესო ნორმები უნდა გამოიყენოს; საბრძოლო მოქმედებათა დროს დაუშვებელია მოწინააღმდეგისთვის ზედმეტი ზიანის მიყენება; მშვიდობიანი მოსახლეობა არ უნდა იყოს სამხედრო თავდასხმის ობიექტი.

ეს პრინციპები ფუნდამენტურია ჰუმანიტარული სამართლისათვის. შენევის კონვენციებში მოცემული უფლებების გარანტირების მიზნით, მათი ხელმოწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ ძირითადი პრინციპების სწავლება მათი შეიარაღებული ძალების ყველა წევრისათვის. პირი, რომელიც არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, გასამართლდება სისხლის სამართლის წესით და შეიძლება სხვა სახელმწიფოსაც გადაეცეს.

გამოყენებული წყარო: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

სლაიდი.1

შენევის კონვენცია და ორი დამატებითი ოქმი

2. კონფლიქტის მომართა მხარის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების პატივისცემის და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კონფლიქტის მომართა მხარეებმა ყოველთვის უნდა განსაზღვრონ სამოქალაქო მოსახლეობა და კომპანტენტები, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები და შესაბამისად, თავიანთი მოქმედება წარმართის მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

I დამატებითი ოქმი
მუხლი 48. ძირითადი ნორმა

2. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირები არ უნდა გახდნენ თავდასხმის ობიექტები, აკრძალულია ძლიადობის აქტი ან ძლიადობის შეტევა, რომლის ძირითადი მიზანიც სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზებაა.

მუხლი 51. სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა

1. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის დასაქმის, როგორც ომის წარმოების შეთხვედის, გამოყენება.
2. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის საარსებო ფუძელებზე ობიექტების – საცდების, მარგის, სერსათის მწარმოებელი საწარმო-სამწერეთო საობრებსა, ნათესების, სატელეკომ. სასა. მუდო წყლის მოხმარებელი საგნებისა და სამკლე წყლის მარგის განთავსება, გატანა, მწერ-პროდუქტების გამოცემა, ...

მუხლი 54. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა

დაუშვებელია სამოქალაქო პირის, განსაკუთრებით, რომელიც მას არ წოდებოდა, კოლექტიური საჩუქრები, ასევე აკრძალება დაპირების ყოველგვარი ღირსსებები ან ტერორი.

ენეცის IV კონვენცია
მუხლი 33

აკრძალულია ნებისმიერი მოტივით განპირობებული სამოქალაქო პირების იძულებითი გადაადგილება ან დეპორტირება ოკუპირებული ქვეყნიდან ოკუპაციის სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე. ...

მუხლი 49

გამოყენებული წყარო: სამოქალაქო განათლება, IX კლ., თ. შეიფარიანი, თბ. 2004

სლაიდი.2

მასწავლებელი შეკითხვით მიმართავს კლასს:

- რა პასუხისმგებლობას აკისრებს ჟენევის ეს კონვენცია სახელმწიფოებს?

სავარაუდო პასუხი: ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს, შეასრულონ კონვენციის პირობები.

აქტივობა N3 (5 წთ) - მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას, რომ საქართველომ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ კონვენციის მიმართ და მიუერთდა კონვენციას 1993 წელს, რითიც დააფიქსირა თავისი მზადყოფნა, დაიცვას ამ დოკუმენტებში მოცემული ნორმები შეიარაღებულ კონფლიქტის პირობებში.

მასწავლებლის შეკითხვა: გაიხსენეთ თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება, აგვისტოს ომის დღეები, აფხაზეთის ომის შესახებ მშობლების, ახლობლების მიერ მოთხრობილი ინფორმაცია ან ფილმი „გაღმა ნაპირი“, რომელიც ჩვენ ერთად ვნახეთ და უპასუხეთ შეკითხვას:

- საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების დროს რამდენად შესრულდა კონვენციის პირობები?

მოსწავლეები პასუხობენ (გამოხატავენ თავიანთ ცოდნას და დამოკიდებულებას აღნიშნული თემების მიმართ, საუბრობენ, რამდენად დაუცველია მშვიდობიანი მოსახლეობა ომის დროს, როგორ ტოვებენ მშობლიურ სახლ-კარს და ხდებიან დევნილები, განსაკუთრებით ზარალდებიან ბავშვები, როგორ ვერ იცავს კონვენცია მშვიდობიან მოსახლებას, რადგან სახელმწიფოები არ ასრულებენ პირობებს).

აქტივობა N4 (8 წთ) - მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფოტო მასალას შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ფოტოებს და იმსჯელონ, კონვენციის რომელი მუხლები დაირღვა:

მოსწავლეები ასრულებენ სამუშაოს.

ფოტომასლა	კონვენციის რომელიმუხლი დაირღვა და რატომ?
-----------	--

სოხუმი. 16 სექტემბერი  სურათი 1 N1 expertclub.ge ,სოხუმის დაცემის 18 წლისთავი, 27.09.2011	დაირღვა მუხლი 33- არგუმენტი: გაუსამართლებლად არის დასჯილი სამოქალაქო პირი
2008 წლის აგვისტოს ომის კადრები  სურათი 2. N2 რუსეთ-საქართველოს ომი და ეროვნული მეხსიერების თავისებურება, ივერია, 05 დეკემბერი, შაბათი 2015	დაირღვა მუხლი 51 - არგუმენტი: სამოქალაქო პირი გახდა თავდასხმის ობიექტი
2008 წლის აგვისტოს ომი - „ომი და მეხსიერება“  სურათი 3 N3 რუსეთ-საქართველოს ომი და ეროვნული მეხსიერების თავისებურება, ივერია, 05 დეკემბერი, შაბათი 2015	დაირღვა მუხლი 48- არგუმენტი: განადგურებულია არასამხედრო ობიექტები
2008 წლის აგვისტოს ომი - „დევილუზი“  სურათი 4 N4 „2008 წლის 7 აგვისტო“ http://teushateo.blogspot.com	დაირღვა მუხლი 49- არგუმენტი: მოსახლეობა სამხედრო იერიშის გამო იძულებით გადაადგილდება

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას (სავარაუდო პასუხებში აქცენტირებულია დასკვნები კონვენციის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობის შესახებ - კერძოდ, მუხლი 33 - ამ მუხლით გაუსამართლებლად არ უნდა დასჯილიყო სამოქალაქო პირი; მუხლი 51 - თავდასხმის ობიექტი გახდა სამოქალაქო პირი; მუხლი 48 - განადურდა არასამხედრო ობიექტები; მუხლი 49 - სამხედრო იერიშის გამო მოსახლეობა დევნილია - ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ფაქტები არ იქნებდა, სახელმწიფოებს რომ დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინათ).

აქტივობა N5 (15წთ) მასწავლებლის დავალება:

- იმსჯელეთ, რის წინაშე აყენებს კაცობრიობას კონვენციის შეუსრულებლობა?

მოიფიქრეთ სლოგანი ან პლაკატი, სადაც გამოჩნდება თქვენი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხების და ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ და გააკეთეთ პრეზენტაცია.

მოსწავლეები ამზადებენ პოსტერებს და აკეთებენ პრეზენტაციებს (მაგალითად, მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა მოამზადა პოსტერი “თუ ჩვენ ბოლოს არ მოვუღებთ ომს, ომი მოგვიღებს ჩვენ ბოლოს”). მოსწავლეთა პოსტერების გამოფენა მოეწყო სკოლაში. მეცხრე კლასის საკლასო ოთახის მიმდებარე სივრცეში დერეფანში.



8. შეფასების ინსტრუმენტები (2 წთ):

შეფასების ინსტრუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი კრიტერიუმები:

1. მოსწავლემ გააანალიზა სხვადასხვა სახის წყაროები;
2. მოსწავლემ შეადარა ნარატიული წყაროები ფოტომასალას და დააკავშირა ინფორმაციები ერთმანეთთან;
3. მოსწავლემ იმსჯელა ომის დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის გზების აუცილებლობაზე;
4. მოსწავლემ (მასლაზე და წყაროებზე დაყრდნობით) მოახდინა პრობლემის კრიტიკული ანალიზი და გამოხატა თავისი დამოკიდებულება - მონაწილეობა მიიღო პოსტერების შექმნაში.

შეფასების სქემატური მასალა

#	კრიტერიუმი	კი	არა
1.	მოსწავლემ გააანალიზა სხვადასხვა სახის წყაროები		
2.	მოსწავლემ შეადარა ნარატიული წყაროები ფოტომასალას და დააკავშირა ინფორმაცია ერთმანეთთან		
3.	მოსწავლემ იმსჯელა ომის დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის გზების აუცილებლობაზე		
4.	მოსწავლემ (მასლაზე და წყაროებზე დაყრდნობით) მოახდინა პრობლემის კრიტიკული ანალიზი და გამოხატა თავისი დამოკიდებულება - მონაწილეობა მიიღო პოსტერების შექმნაში		

9. გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

1. „1993 წლის 27 სექტემბერი–აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს აღების შემზარავი დეტალები“ (სურ. 1, expertclub.ge. სოხუმის დაცემის 18 წლის თავი, 27.09.2011),
2. „აგვისტოს ომის კადრები“ (სურათი 2, რუსეთ-საქართველოს ომი და ეროვნული მეხსიერების თავისებურება, ივერია, 05 დეკემბერი, შაბათი 2015, <http://iveria.biz/121-ruset-saqartvelos-omi-da-erovnuli-mexsierebis-tavisebureba.html>),
3. „2008 წლის აგვისტოს ომი - „ომი და მეხსიერება“ (სურათი 3, <http://iveria.biz/121-ruset-saqartvelos-omi-da-erovnuli-mexsierebis-tavisebureba.html>),

4. „2008 წლის 7 აგვისტო“ (სურათი 4, „2008 წლის 7 აგვისტო“ <http://teushateo.blogspot.com>);
5. განათლების ლექსიკონი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბილისი, 2013;
6. სამოქალაქო განათლება, IX კლ; თ. მეიფარიანი, 2004 წ., სასკოლო სახელმძღვანელო,

შენიშვნები - მასწავლებელს შეუძლია, ნარატიული და ფოტომასალის გარდა, მოსწავლე ამუშაოს ვიდეოკადრებზე.